ბიზნესის განწყობის ინდექსი

13.3

შემცირდა

გაგრძელდება თუ არა კლებადი ტენდენცია?

I კვ 2022

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
26	156

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2022 წლის I კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 13.3 პუნქტით შემცირდა და 17.3-ს გაუტოლდა. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუარესება დაფიქსირდა მომსახურების (-25.8), მრეწველობისა (-20.8) და საბითუმო და საცალო ვაჭრობის (-16.1) სექტორებში. BCI-ის უარყოფითი ცვლილება ნაკლებად ოპტიმისტურმა მოლოდინებმა და გაუარესებულმა მიმდინარე მდგომარეობამ განაპირობა.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით 15.6 პუნქტით შემცირდა და 2022 წლის I კვარტლისთვის 17.3-ს მიაღწია. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუარესება მომსახურებისა (-46.7) და მრეწველობის (-41.6) სექტორებში დაფიქსირდა.

- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, კვლავ შემცირდა და 23.2 პუნქტი შეადგინა. 2022 წლის I კვარტლისთვის მოლოდინების კლება დაფიქსირდა ყველა სექტორში, გარდა სამშენებლო და სოფლის მეურნეობის სექტორებისა.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი შემცირდა 13.4-ით და 30.7 პუნქტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ ბიზნესების წილი, რომელიც მომდევნო სამ თვეში ვარაუდობს ფასების გაზრდას საკუთარ პროდუქტზე შემცირდა. გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი ყველა სექტორშია შემცირებული გარდა მომსახურების სექტორისა.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

მცირე და საშუალო			დიდი		
					
კვ I/22		ცვლილება	კვ I/22		ცვლილება
15.1	▲	+7.1	16.2	▼	-19.0

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, კვარტალური ზრდა

სექტორი	კვ I/22		ცვლილება
მრეწველობა	2.6	▼	-20.8
მშენებლობა	20.5	▲	+27.3
ვაჭრობა	28.8	▼	-16.1
მომსახურება	8.5	▼	-25.8
სოფლის მეურნეობა	29.5	▼	-3.9
საფინანსო სექტორი	18.4	▼	-8.9

2022 წლის I კვარტლისთვის მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითად გამოწვევას მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, ხოლო მსხვილი საწარმოების მთავარი პრობლემა, ფინანსებზე დაბალ ხელმისაწვდომობასთან ერთად, კვალიფიციური კადრების სიმცირეა.

ბიზნესსაქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები I კვარტალი, 2022 წელი



ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA